



**საქინახშირი**

**პრესრელიზი**

---

**„საქინახშირი ჯი-აი-ჯი“-ში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ტრენინგი მიმდინარეობს**

ტყიბულის შახტაში დასაქმებულებს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ტრენინგი უტარდებათ. სწავლების მიზანია, კომპანიაში დაინერგოს ევროპული მიდგომა სამუშაო ადგილებზე რისკის შეფასების და ტრავმების თავიდან აცილების მიზნით. ასვე მოხდეს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დასახვა და შესაბამისი შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტაციების შექმნა, რომელიც უშუალოდ საწარმო პროცესში დაინერგება კომპანიას სასწავლო ტრენინგების ჩატარება დაგეგმილი აქვს შახტის, თბოელექტროსადგურისა და ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დასაქმებული ყველა პერსონალისათვის. ტრენინგებს სისტემატური სახე ექნება და თემატურად ჩატარდება.

14-07-2017

შპს "საქინახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქინახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

---

შპს "საქინახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი"  
თაბუკაშვილის ქ. 13, 4300, ტყიბული  
ტელ.: +995 95 74 74 73  
[www.gig.ge](http://www.gig.ge)

გთხოვთ მოგვმართოთ:  
E-mail: [m\\_manjgaladze@gig.ge](mailto:m_manjgaladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 06  
E-mail: [n\\_bandzeladze@gig.ge](mailto:n_bandzeladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:   
Georgian Industrial Group Holding

